საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი N 25

ქ.თბილისი 19.11.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

გიორგი კამკამიძე - შპს ნეოლაბის დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე, (შემდგომში თავმჯდომარე);
ნინო დავლაშერიძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის წევრი, საბჭოს მდივანი (შემდგომში-მდივანი);
ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორი;
მაგდა მაღრაძე - ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი;
თამარ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვისა და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) მთავარი მკვლევარი;
თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
ნანა ცერცვაძე - ა(ა)იპ - საქართველოს ბიზნეს ასოციაციის სექტორული განვითარების ხელმძღვანელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი - გიორგი ცხვედიანი;
ავტორორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტები :
თამარ შენგელია;
ანა ლელაძე;
გიორგი მელიქაძე;
თამარ აფრასიძე.

აკრედიტაციის ექსპერტები:
ეკატერინე ბაღიშვილი,
ვასილ კიკუტაძე,
ია ნაცვლიშვილი,
თამარ ვალიშვილი,
ხათუნა საგანელიძე,
მურად გარუჩავა,
მაია გონაშვილი.

შპს უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიის წარმომადგენლები:
ნატალია ბარათელი'
ელენე გვენცაძე;

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
რევაზ ზედგინიძე,
მერაბ ბერიძე,
ნიკოლოზ ახალკაცი;

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის წარმომადგენლები:
ნუკრი გელაშვილი,
პაატა ტურავა;

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
ირინე კვაჭაძე,
ლევან მეტრეველი,
ლელა მასხულია,
მარინა ციმაკურიძე;

შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
ლელა თვარაძე,
ნინო მილაშვილი.

სხდომა დაიწყო 15:22 სთ-ზე. აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარემ წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1.სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2.სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3.სსიპ-საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4.სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის „რეაბილიტაცია სპორტში" აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5.სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ვეტერინარიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტების გადამუშავების ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

მდივანმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დამსწრე საზოგადოებას, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წერიგთან დაკავშირებით. თავად განაცხადა აცილება სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროგრამების აკრედიტაციის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით რადგან თავად იყო სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი და შესაბამისად, ვერ მიიღებდა აღნიშნული დაწესებულების საკითხის განხილვის კენჭისყრაში მონაწილეობას.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა აცილება სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროგრამების აკრედიტაციის საკითხის განხილვასთან მიმართებაში ვინაიდან თავად იყო ამ უნივერსიტეტის პროფესორი. შესაბამისად ვერ მიიღებდა აღნიშნული დაწესებულების საკითხის განხილვის კენჭისყრაში მონაწილეობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დამსწრე საზოგადოებას, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით.

გიორგი ცხვედიანმა აღნიშნა, რომ პირველ საკითხად გათვალისწინებული ყოფილიყო შპს უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შუამდგომლობის დაკმაყოფილება და დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. შპს უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ-საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის „რეაბილიტაცია სპორტში“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ვეტერინარიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტების გადამუშავების ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. შპს უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	სამართალი
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია :	სამართლის ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა:	240
კვალიფიკაციის კოდი:	06

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და რეკომენდაციები საბჭოს გააცნო ამ ჯგუფის წევრმა- ეკატერინე ბაღიშვილმა :

- საბაკალავრო პროგრამაში განსაზღვრული სწავლების მეთოდები უნდა ყოფილიყო დაზუსტებული და მეტი სიცხადით შესული პროგრამაში მეთოდების მკაფიო მითითებებით;
- საბაკალავრო პროგრამის ზოგიერთ სილაბუსში დამატებული ყოფილიყო დამხმარე უცხოენოვანი ლიტერატურა, რათა უკეთ ყოფილიყო უზრუნველყოფილი დასახული მიზნებისა და სწავლების შედეგების მიღწევა;
- სილაბუსებში გამოყენებულ უნდა ყოფილიყო სტუდენტის ცოდნის შეფასების უფრო გამჭვირვალე კრიტერიუმები, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სტუდენტის ინფორმირებულობა მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ.

ექსპერტმა რეკომენდაციებთან დაკავშირებით გააკეთა შემდეგი განმარტებები, კერძოდ: სილაბუსებში გაწერილი მეთოდები, მეტნაკლებად ერთმანეთის მსგავსი იყო და პროფესორი თავისი საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე ირჩევდა მიზანშეწონილად მიჩნეულს, თუმცა უკეთესი იქნებოდა პროცესუალურ საგნებში მხოლოდ ის მეთოდები ჩაწერილიყო, რომელსაც ლექტორი გამოიყენებდა სწავლების პროცესში.

მან ასევე განაცხადა, რომ სამართლის საგნებთან მიმართებით არსებობდა ბევრი უცხოენოვანი ლიტერატურა, რომელსაც აუცილებლად უნდა გაცნობოდა სტუდენტი. სწორედ ამიტომ, ერთ-ერთი რეკომენდაცია დამატებით ლიტერატურაში ასახული თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურა იყო.

ასევე, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველი იქნებოდა უფრო დაზუსტდება კაზუსების ამოხსნის კრიტერიუმებისა, ვინაიდან სამართლის სხვადასხვა სფეროში მათი ამოხსნის მეთოდები სპეციფიური და განსხვავებ ული იყო . წარმოდგენილი პროგრამა და სილაბუსები შეესაბამებოდა სტანდარტებს და იძლეოდა პროგრამის შესაბამის შედეგზე გასვლის საშუალებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნატალია ბარათელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე ჯერ არ ირიცხებოდნენ სტუდენტები, სამართლის პროგრამა გახლდათ რეგულირებადი პროგრამა, ყველა რეკომდაცია იქნებოდა გათვალისწინებული. უცხოენოვანი ლიტერატურა იქნებოდა დამატებული ლიტერატურის ნუსხაში.

საბჭოს წევრი ნათელა სახოკია დაინტერესდა რა იგულისხმებოდა რეგულირებად პროგრამაში.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ დაფიქსირდა შეცდომა და იგი გულისხმობდა რეგულირებად პროფესიას.

საბჭოს წევრმა წარმომადგენელს ჰკითხა თუ რამდენი სტუდენტის მიღება იგეგმებოდა აღნიშნულ პროგრამაზე.

წარმოამდგენელმა უპასუხა, რომ აპირებდნენ სამოცი სტუდენტის მიღებას, მათ ჰქონდათ გაწერილი სავარაუდო ბიუჯეტი, პარტნიორების გათვალისწინებით და ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით გათვალისწინებული იყო 43 000-ლარამდე საჯარო ლექციების, პროფესორებისა და სტუდენტებისათვის.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ საქართველოში არსებობდა სამართლის ბევრი პროგრამა და დაინტერესდა რატომ შეარჩევდა სტუდენტი ამ პროგრამას და თავად წარმომადგენელი როგორ დაახასიათებდა მოცემულ პროგრამას, რა უპირეტოსობა გააჩნდა მას.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უმაღლესი სასწავლებელი განათლების აკადემია ფუნქციონირებდა უკვე ორი წელი, დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება ინგლისის სამართლის სკოლასა და პოლონეთის უნივერსიტეტთან, ერთადერთი რაზეც დაწესებულება ვერ შეთანხმდა ეს იყო თანხა ვინაიდან ლონდონის სამართლის სკოლამ მოითხოვა თითოეული სტუდენტისაგან 7000 ფუნტამდე, აქედან გამომდინარე საბოლოოდ გადაწყდა რომ, აღნიშნული დაწესებულებები იქნებოდნენ მათი კოორდინატორები, დააკვირდებოდნენ როგორ წარიმართებოდა სასწავლო პროცესი და ამოქმედდებოდა პროგრამა. წელიწადში ორჯერ პროფესორ-მასწავლებლებისთვის ჩაატარებდნენ საჯარო ლექციებს. დაწესებულებას ჰყავდა კარგი გუნდი და იმედოვნებდნენ, რომ წარმატებულად დაიმკვიდრებდნენ თავს აღნიშნულ ბაზარზე.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა სხვა რა პროგრამებს ახორციელებდა დაწესებულება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ხორციელდებოდა ოთხი პროგრამა მათ შორის იყო ფარმაცია, მენეჯმენტი და ა.შ. და აღნიშნული პროგრამა აკრედიტაციის გავლის შემთხვევაში დაემატებოდა მეხუთე პროგრამის სახით.

2. **სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;**

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ეკონომიკა
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ეკონომიკის ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა:	240
კვალიფიკაციის კოდი:	0701

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს გააცნო ექსპერტმა ვასილ კიკუტაძემ და გაახმოვანა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასურველელი იქნებოდა, პროგრამის მაპროფილებელი დისციპლინების მოდულის გაძლიერების მიზნით, მასში წარმოდგენილი ყოფილიყო ეკონომიკური პროფილის ისეთი დისციპლინები, როგორიცაა ეკონომიკური აზრის ისტორია, რეგიონული ეკონომიკა, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა და ა.შ.
- სასურველი იქნებოდა პროგრამით გათვალისწინებული დისციპლინა- „გადასახადები და საბიუჯეტო სისტემა“ -ნაცვლად მეორე სემესტრისა შესწავლილი ყოფილიყო შემდგომ

სემესტრში, ვინაიდან სტუდენტებს ექნებოდათ უფრო მეტი საფუძველი აღნიშნული დისციპლინის შედარებით ადვილად ათვისებისათვის;

- მიუხედავად იმისა, რომ დისციპლინა ,,მარკეტინგის საფუძვლებში" გამოყენებული იყო ქართველი ავტორების ახალი სახელმძღვანელოები, სასურველი იქნებოდა ასევე გამოყენებული ყოფილიყო მარკეტინგის ცნობილი სპეციალისტის, კოტლერის ავტორობით გამოცემული სახელმძღვანელოც, რომელიც ქართულ ენაზეც იყო ხელმისაწვდომი;
- სასურველი იქნებოდა უნივერსიტეტს სტუდენტების ინფორმირებულობის, სასწავლო პროცესების მართვის ოპერატიულობისა და მეტი გამჭირვალეობის უზრუნველსაყოფად სრულად გამოეყენებინა ,,მუდლის" (Moodle) სისტემა, რომელსაც მხოლოდ დასკვნითი გამოცდების ჩატარებისას იყენებდნენ;
- სასურველი იქნებოდა პროგრამას გაეთვალისწინებინა პრაქტიკის კომპონენტი, მაშინ, როდესაც უნივერსიტეტს ჰქონდა გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები როგორც, საჯარო სექტორის, ასევე კერძო სექტორის ორგანიზაციებთან, რაც საშუალებას იძლეოდა პროგრამას გაეთვალისწინებინა აღნიშნული კომპონენტიც.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულების ხელმძღვანელობა სრულად იზიარებდა ექსპერტების მიერ გამოთქმულ რეკომენდაციებს და მითითებების, პრაქტიკაში განსახორციელებლად მუშაობა უკვე მიმდინარეობდა - ცვლილებები შედიოდა სილაბუსებში, მათ შორის, „მარკეტინგის საფუძვლების" სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურას დაემატა კოტლერის ავტორობით გამოცემული სახელმძღვანელოც. ,,მუდლის" (Moodle) სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებით, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აუცილებლად მოხდებოდა მისი ფუნქციების სრულად აკუმულირება, თუმცა, რეგიონის კონტექსტის გათვალისწინებით, მისი ოპტიმალური გამოყენება გარკვეულწილად პრობლემატური იყო - დაწესებულების წარმომადგენლის მტკიცებით, სტუდენტები ძირითადად სოფლებიდან გახლდნენ, სადაც ქსელთან წვდომა მინიმალური იყო და რის გამოც, ინტერნეტის გამოყენება მხოლოდ სასწავლო დაწესებულებაში შეეძლოთ. ბოლოს, მხარემ განაცხადა, რომ პროგრამას დაემატა პრაქტიკის ელემენტი 5 კრედიტის მოცულობით და საბაკალავრო ნაშრომი 5 კრედიტის ოსენობით. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ახორციელებედა თუ არა დაწესებულება ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლის პასუხი უარყოფითი იყო.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, რამდენად არსებობდა სადოქტორო პროგრამის განხორციელების რესურსი და აკადემიური პერსონალი, როდესაც დაწესებულება არ ახორციელებდა სამაგისტრო პროგრამას. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა პასუხად განაცხადა, რომ დოქტორანტურა არა მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის, არამედ თბილისისა და საქართველოს სხვა რეიგიონების სტუდენტებზე აკეთებდა გათვლას. რაც შეეხებოდა ადამიანურ რესურსს, დაწესებულების წარმომადგენლის მტკიცებით, უნივერსიტეტს ჰყავდა შესაბამისი აკადემიური რესურსი და სადოქტორო პროგრამის განხორციელებას სხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით გეგმავდა. აკადემიურ საბჭოში აუცილებლად შევიდოდნენ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებიც და თემატიკის მიხედვით, სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელებად და თანახელმძღვანელებად სხვადასხვა სპეციალისტები იქნებოდნენ მოწვეულნი.

3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება :	ეკონომიკა
განათლების საფეხური:	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია :	ეკონომიკის დოქტორი
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა :	180
კვალიფიკაციის კოდი:	0701

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს გააცნო ექსპერტმა ია ნაცვლიშვილმამ და გაახმოვანა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- ეკონომიკური მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებებით კვლევითი ინტერესების მაქსიმალურად დაკმაყოფილების მიზნით სასურველი იქნებოდა გაზრდილიყო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა;
- სასურველი იქნებოდა პროგრამაში უფრო მეტად ყოფილიყო გამოყენებული საქართველოსა და უცხოეთის წამყვანი სამეცნიერო ცენტრებისა და უმაღლესი სასწავლებლების მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსი მოწვეული პერსონალის სახით;
- სასურველი იქნებოდა უნივერსიტეტს სტუდენტების ინფორმირებულობის, სასწავლო პროცესების მართვის ოპერატიულობისა და მეტი გამჭირვალეობის უზრუნველსაყოფად სრულად გამოეყენებინა ,,მუდლის" (Moodle) სისტემა, რომელიცა მხოლოდ დასკვნითი გამოცდების ჩატარებისას გამოიყენებოდა.

ექსპერტის განცხადებით, სადოქტორო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამებოდა დადგენილ სტანდარტებს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თითოეულ ფაკულტეტზე საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში პუბლიკაციების რაოდენობით. ექსპერტმა განაცხადა, რომ ზუსტი ციფრის დასახელება არ შეეძლო, თუმცა იყო პუბლიკაციები საერთაშორისო რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში, ფინანსების და ეკონომიკის მიმართულებით.

თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენი დოქოტორანტის მიღებას აპირებდა უნივერსიტეტი ეკონომიკის სადოქტორო პროგრამაზე. დაწესებულების წარმომადგენლის მტკიცებით, იგეგმებოდა სამი ან მაქსისმუმ ხუთი დოქტორანტის მიღება.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა ამ ეტაპზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას სტუდენტები ეკონომიკის საბაკალავრო საფეხურზე. უნივერსიტეტის წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტების მიღება სამომავლოდ იგეგმებოდა და ამ ეტაპზე საბაკალავრო საფეხურზე არც ერთი სტუდენტი არ ირიცხებოდა.

საბჭოს წევრი დაინტერესდა სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის და შესაბამისი ფაკულტეტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილების მოტივებით სამაგისტრო საფეხურის გაუთვალისწინებლად, მხოლოდ საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამების ამოქმედების შესახებ. უნივერსიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, ამ ეტაპზე დაწესებულება საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამების განხორციელებისთვის უფრო მზად იყო. მხარემ აქვე დასძინა, რომ უნივერსიტეტი უკვე ორ სადოქტორო პროგრამას ახორციელებდა. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რა დისციპლინებში ხორციელდებოდა აღნიშნული ორი სადოქტორო პროგრამა. მოპასუხის განმარტებით, ეს ორი დისციპლინა გახლდათ ჰუმანიტარული მეცნიერებები და ასტრონომია.

საბჭოს წევრი სასწავლო კომპონენტის სტრუქტურით დაინტერესდა. ექსპერტის განმარტებით სასწავლო კომპონენტი სადოქტორო პროგრამაში შემდეგნაირად იყო სტრუქტურირებული: სალექციო

კურსები - 20 კრედიტი (სწავლების თანამედროვე მეთოდები - 5 კრედიტი, ეკონომიკური კვლევის მეთოდოლოგია - 5 კრედიტი, უმაღლესი განათლების მენეჯმენტი 5 კრედიტი, 5 კრედიტი არჩევითი კურსი); პროფესორის ასისტენტობა - 10 კრედიტი (სავალდებულო), 2 თემატური სემინარი - თითოეული 15 კრედიტი (სავალდებულო). პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავდა 120 კრედიტს. მასში შედიოდა: კოლოქვიუმი - 60 კრედიტი (სამი კოლოქვიუმი, თითოეული 20 კრედიტი); სადისერტაციო ნაშრომი - 60 კრედიტი.

ექსპერტის განცხადებით, პროგრამის კონცეფციის მიხედვით, დახელოვნება თემატური სემინარების ფარგლებში უნდა წარმართულიყო, სადაც სტუდენტი იქნებოდა უფრო აქტიური ვიდრე სალექციო სახით წაკითხულ კურსზე. დოქტორანტი განიხილებოდა, როგორც მომავალი პედაგოგი, ამისათვის საჭირო იყო, რომ იგი გაცნობოდა სწავლებისა და კვლევის თანამედროვე მეთოდებს. დაწესებულების მიერ შეთავაზებული სამი არჩევითი კურსიდან სტუდენტს საშუალება ექნებოდა აერჩია ერთ ერთი რომელიც უფრო მეტად მიესადაგებოდა მისი ინტერესის სფეროს.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, როგორი მდგომარეობა იყო ბიბლიოთეკასთან და ელექტრონულ რესურსებთან დაკავშირებით. ექსპერტის ცნობით, შემოწმების შედეგად დადგინდა აღნიშნული რესურსის არსებობა და ადეკვატურობა. უნივერსიტეტს გააჩნდა ელექტრონულ ბაზებზე თავისუფალი წვდომაც.

თავმჯდომარე დოქტორის ხარისხის მინიჭების კანდიდატის მიმართ პუბლიკაციების თვალსაზრისით წაყენებული მოთხოვნებით დაინტერესდა. ექსპერტმა განმარტა, რომ დისერტაციის დაცვამდე, არსებული მოთხოვნის მიხედვით, კანდიდატი ინტერნაციონალიზაციის კომპონენტით ფასდებოდა, კერძოდ, უნივერსიტეტი უზრუნველყოფდა საერთაშორისო რეცენზირებას ან კანდიდატს უნდა წარმოედგინა საერთაშორისო რეფერირებად რეცენზირებად ჟურნალში უკვე დაბეჭდილი ორი პუბლიკაცია, რომელიც დისერტაციის ნაწილის შინაარსის ამსახველი იქნებოდა.

საბჭოს წევრი სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველების საკითხით დაინტერესდა. სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის წარმომადგენლის ცნობით, ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის მიმართ უკვე დიდი ინტერესი გამოვლინდა.

4. **სსიპ-საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;**

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	სამართლის საბაკალავრო პროგრამა
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	სამართლის ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი :	06
კრედიტების რაოდენობა:	240

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს გააცნო ექსპერტმა ზვიად როგავამ და გაახმოვანა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- საგანმანათლებლო პროგრამაში ნაკლები ყურადღება ეთმობოდა ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხების სწავლებას. სასურველი იქნებოდა საკონსტიტუციო (სახელმწიფო მოწყობის) სამართლის სასწავლო კურსის ფარგლებში გაზრდილიყო აღნიშნული საკითხების სწავლება (დათმობილი ჰქონდა მხოლოდ 2 სალექციო საათი) ან სპეციალობის არჩევით, სასწავლო კურსებს დამატებოდა კურსი - ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) სამართალი.

- დასაქმების ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, სასურველი იქნებოდა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებს დამატებოდა - საგადასახადო სამართალი.
- სასურველი იქნებოდა გაძლიერებულიყო ინგლისური ენის, განსაკუთრებით კი დარგობრივი ინგლისური ენის, სწავლება, რაც გაზრდიდა სწავლების, კვლევის საბაზისო უნარების და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციას, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში სტუდენტთა მობილობისა და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობას.
- სტუდენტისათვის მიღებული ცოდნის პრაქტიკაში უფრო ეფექტურად გამოყენების გაძლიერების მიზნით, სასურველი იქნებოდა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყოფილიყო ისეთი სპეცკურსების სწავლება, როგორიც იყო სამართლებრივი წერა და პროფესიული ეთიკა.

ექსპერტის განმარტებით მოცემული პროგრამა გახლდათ ერთ-ერთი საუკეთესო, არსებობდა განსაკუთრებით კარგი ბაზა კერძოდ საერთო საცხოვრებელი, რაც რეგიონიდან ჩამოსული სტუდენტებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნებოდა, ასევე კვების ობიექტი, აუდიტორიები და ა.შ. აღნიშნული პროგრამა რეალურ კონკურენციას გაუწევდა სამართლის საბაკალავრო პროგრამებს. პროგრამა შეესაბამებოდა სტანდარტებს და ხარვეზები არ ფიქსირდებოდა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

წარმომადგენლის განცხადებით, ექსპერტების მიერ დაფიქსირებული რეკომენდაციები გახლდათ მნიშვნელოვანი, დაწყებული იყო მუშაობა აღნიშნული კუთხით, მეოთხე რეკომენდაციაში მითითებული საკითხი აკადემიური წერა პრაქტიკის თვალსაზრისით აუცილებლად იქნებოდა ცალკე გამოყოფილი. დაწესებულების მიზანი არ გახლდათ მხოლოდ კონკურენცია, მათ ძირითად მიზანს წარმოადგენდა პროფესიონალი კადრების მიღება.

საბჭოს წევრმა გამოთქვა მოსაზრება რომ ქართული ენის კურსი სასურველი იქნებოდა განხორციელებულიყო უფრო წერის, დოკუმენტაციის წარმოების შესწავლის კუთხით ვიდრე მეტყველების უნარების გამომუშავების თვალსაზრისით, რაზეც წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სწორად ამიტომ გეგმავდნენ სილაბუსში აკადემიური წერის კომპონენტის გაძლიერებას.

საბჭოს წევრი ნათელა სახოკია დაინტერესდა სამართლებრივი წერა და აკადემიური წერა ხომ არ იყო გაიგივებული. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამართლებრივი წერა წარმოადგენდა ზოგად საფუძვლებს ხოლო აკადემიური წერა მოიაზრებდა სპეციფიკურ კომპეტენციას.

საბჭოს წევრმა თამარ ბრეგვაძემ განაცხადა რომ აღნიშნული კურსის სასწავლო მიზანს წარმოადგენდა სტუდენტს შეესწავლა ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, აკადემიური ტექსტის ზოგადი კანონზომიერება და ოფიციალური დოკუმენტაციის შედგენა. გამოდიოდა რომ ვინც ამ კურსზე აბარებდა ჰქონდა ენის პრობლემა და ამას აღიარებდა დაწესებულება. აკადემიური წერა თავისი მნიშვნელობით სხვა რამეს მოიაზრებდა.

5. **სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა ,,რეაბილიტაცია სპორტში'' აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება-	რეაბილიტაცია სპორტში
განათლების საფეხური-	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია -	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მაგისტრი
სწავლების ენა-	ქართული
კვალიფიკაციის კოდი-	0906

კრედიტების რაოდენობა-	120

6. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტი და ჯანდაცვის პოლიტიკა
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	090405
კრედიტების რაოდენობა:	120

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ჯგუფის წევრმა, ხათუნა საგანელიძემ. მან მიმართა საბჭოს წევრებს თხოვნით, რომ სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ ორივე საგანმანათლებლო პროგრამაზე შემუშავებული დასკვნები ერთმანეთის მიყოლებით წარედგინა, გამომდინარე იქიდან, რომ შემუშავებული რეკომენდაციები მსგავსი იყო. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს ექსპერტის თხოვნა. ხათუნა საგანელიძის განმარტებით, შენიშვნები ძირითადად ტექნიკური ხასიათის იყო, რომელთა გამოსწორება ვერ მოესწრო და ამიტომაც მოხდა მათი ასახვა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

სამაგისტრო პროგრამასთან ,,რეაბილიტაცია სპორტში'' მიმართებით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსის ,,ფიზიკური ფაქტორების გამოყენება სპორტული დაზიანების რეაბილიტაციაში" წინაპირობაში მითითებული სახელწოდება შეიცვალოს არსებული სასწავლო კურსის სახელწოდებით ,,სპორტული დაზიანებების შეფასება და დიაგნოსტიკის საშუალებები";
- ამოღებულ იქნას სასწავლო კურსის ,,სამედიცინო ეთიკის საფუძვლები სპორტულ მედიცინაში" სწავლის შედეგების ,,დასკვნის უნარში" მითითებული ჩანაწერი ,,შეუძლია კონკრეტული პაციენტის მდგომარეობისა და სარეაბილიტაციო ღონისძიებების საჭიროების იდენტიფიცირება", ეს ჩანაწერი არ წარმოადგენს სამედიცინო ეთიკის კომპეტენციას;
- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულ ზოგად კომპეტენციებში, კომუნიკაციის უნარი ,,მშობლიურ და უცხო ენებზე" შეიცვალოს ,,ქართულ და უცხო ენებზე" ფორმულირებით;
- სასურველია, არჩევით კურსად დაემატოს ,,პაციენტის უფლებები";

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- სილაბუსებში მითითებულია „სასწავლო დღის" თემატიკა, მაგრამ არ არის დაწვრილებით გაწერილი თუ როგორ ნაწილდება საათები (ლექცია/პრაქტიკული და ა.შ) სასწავლო კურსის ფარგლებში და რა სამუშაოს ასრულებს სტუდენტი სწავლების კონკრეტულ ფორმატში.

მიზანშეწონილია, დაიხვეწოს სილაბუსების ეს ნაწილი, რაც სტუდენტისათვის უფრო გამჭვირვალეს გახდის სასწავლო კურსის შინაარსს.

- ვიზიტის დროს პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას იყო აღნიშნული, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე – პროგრამა ინგლისურენოვანია და ითვალისწინებს ინგლისური ენის სრულფასოვნად ცოდნას , ექსპერტების აზრით, უმჯობესია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში უფრო დეტალურად გაიწეროს, რა კონკრეტულ ენობრივ მოთხოვნებს ითვალისწინებს პროგრამა. ექსპერტების რეკომენდაცია ვიზიტის დროს იყო გათვალისწინებული და პროგრამაში შეტანილ იქნა შესაბამისი ცვლილება (დანართი 2).

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

ექსპერტთა მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, საბჭოს წინაშე საკუთარი მოსაზრება წარადგინა დაწესებულების წარმომადგენელმა. მან მადლობა გადაუხდა აკრედიტაციის ჯგუფის ექსპერტებს გაწეული დახმარებისათვის. მისი თქმით, დაწესებულება იზიარებდა და ეთანხმებოდა ექსპერტების მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს და უნივერსიტეტში სასწავლო წლის ბოლომდე განხორციელდებოდა მოკლევადიანი და გრძელვადიანი ცვლილებები. ამასთან, მან განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამები ერთმანეთს მხოლოდ სტრუქტურის მიხედვით ჰგავდნენ, შინაარობრივად კი სხვადასხვა პროგრამას წარმოადგენენ.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია, დაინტერესდა, თუ სად დასაქმდებოდნენ სამაგისტრო პროგრამის ,,რეაბილიტაცია სპორტში'' კურსდამთავრებულები. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კურსდამთავრებულები დასაქმდებოდნენ ნებისმიერი კლინიკის სარეაბილიტაციო დეპარტამენტში, ასევე, ცალკე სპორტული რეაბილიტაციის მიმართულების მქონე კლინიკებში, სპორტულ კლუბებსა და ნაკრებებში - როგორც სპეციალისტებიი, რეაბილიტოლოგები.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია დაინტერესდა, თუ კონკრეტულად რა მიმართულების მაგისტრის ხარისხი მიენიჭებოდა აღნიშნული საგანამანთლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კურსდამთავრებულს მიენიჭებოდა ,,ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის'' მაგისტრის ხარისხი.

საბჭოს წევრი, მაგდა მაღრაძე დაინტერესდა, თუ რამდენი მაგისტრანტის მიღებას აპირებდა დაწესებულება საწყის ეტაპზე და რა მდგომარეობა იყო კონკურენციის მხრივ ამ მიმართულებით. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აპირებდნენ 8 მაგისტრანტის მიღებას მისი თქმით, სამაგისტრო პროგრამა ,,რეაბილიტაცია სპორტში'', მხოლოდ სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ხორციელდებოდა, რაც კონკურენციის არარსებობას ნიშნავდა.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია დაინტერესდა, თუ რა სტრატეგია ჰქონდა დაწესებულებას ადამიანური რესურსების კუთხით, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისას, ვინაიდან ეს საგანმანათლებლო პროგრამა მენეჯმეტის საკითხებსაც მოიცავდა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე, კურსი ინგლისურენოვანი იყო, შესაბამისად, ლექტორებისგან ითხოვდნენ დასავლეთში მიღებულ მაგისტრის ხარისხს. დაწესებულების, როგორც ძირითადი, ისე მოწვეული აკადემიური პერსონალი იყო ჯანდაცვის სამინისტროს, მსოფლიო ბანკის, სხვდასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი. საგანამანთლებლო პროგრამის ძირითად სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა სტუდენტები შრი-ლანკადან და ინდოეთიდან. საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებდა დასაქმებას, როგორც საკუთარ, ასევე რომელიმე ინგლისურენოვან ქვეყანაში.

საბჭოს წევრი, მაგდა მაღრაძე დაინტერესდა, აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამაზე ქართველ სტუდენტებს თუ ჰქონდათ რაიმე შეზღუდვა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულების დებულების თანახმად, საგანამანათლებლო პროგრამაზე მიღების ორი წინაპირობა იქნებოდა განსაზღვრული - გამოკითხვა და მეორე ენის კომპეტენცია. მან აქვე განმარტა, რომ ენის

კომპეტენციის შემთხვევაში, საუბარი იყო შიდა ბარიერზე და არა ეროვნული გამოცდის საფუძველზე მიღებულ შედეგზე. გამჭვირვალობის შენარჩუნების მიზნით, სტუდენტების მიღებისას გადაწყვიტეს საკუთარი რესურსის ხარჯზე, შეერჩიათ სტუდენტები ენის კომპეტენციის მიხედვით და არა სხვადასხვა ტიპის სერტიფიკატის საფუძველზე, რადგან ასეთ დროს, შესაძლოა ქულა ერთმანეთს არ დამთხვეოდა, რაც გაუგებრობის წარმოიშობის ალბათობას ზრდიდა, თუმცა, მომავალში არ გამორიცხავდნენ ენის კომპეტენციის განსაზღვრას შესაბამისი სერტიფიკატების საფუძველზე.

საბჭოს წევრი, თამუნა ზარანდია დაინტერესდა, სამედიცინო განათლების მქონე სტუდენტების გარდა, ვის შეეძლებოდა სწავლა და რას შეადგენდა მისაღებ მაგისტრანტთა საერთო რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, ყველას შეეძლო ამ პროგრამაზე ჩაბარება, თუმცა მაღალი კონკურსის შემთხვევაში, სამომავლოდ შეზღუდავაც დაწესდებოდა. წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებას საწყის ეტაპზე 15 სტუდენტის მიღებას გეგმავდა, ხოლო სწავლის წლიური გადასახადი 6000 აშშ დოლარს შეადგენდა, რაც დადებითად აისახებოდა აკადემიური პერსონალის ანაზღაურებაზე.

16:45 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება. სხდომა განახლდა 17:02 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის პირველ ნახევარში მიღებული გადაწყვეტილებები:

- შპს უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიის სამართლის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 7; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 7; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 4; წინააღმდეგი - 3);
- სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სამართლის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 7; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამას ,,რეაბილიტაცია სპორტში'' მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0).

7. შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ვეტერინარიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება-	ვეტერინარია
განათლების საფეხური-	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია -	ვეტერინარიის ბაკალავრი
სწავლების ენა-	ქართული
კვალიფიკაციის კოდი-	0102
კრედიტების რაოდენობა-	240

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარდგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მურად გარუჩავამ. მან ხაზი გაუსვა ვეტერინარიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელების საჭიროებას და აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითი იყო, თუმცა პროგრამის სრულყოფის მიზნით სასურველი იყო გათვალისწინებული ყოფილიყო შემდეგი რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში დაემატოს სასწავლო კურსი "ვეტერინარიის საფუძვლები" ან "ვეტერინარიის მიმოხილვა" შესაბამისი კრედიტებით. იმის გათვალისწინებით, რომ იგი წარმოადგენს პრერეკვიზიტივს ისეთი საგნების შესწავლისა, როგორიცაა: ცხოველთა ანატომია, შინაურ ცხოველთა კლინიკური დიაგნოსტიკა, ფარმაკოლოგია, სავეტერინარი ტოქსიკოლოგია, იმუნოლოგია, ვირუსოლოგია და სხვა. და ამავე დროს იგი სწავლის შედეგად სტუდენებს ყველაზე უფრო განუვითარებს ღირებულების კომპეტენციას;
- სასურველია მოხდეს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება შესაბამისი პროფილის უცხოური ლიტერატურით;
- მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო, უნივერსიტეტში არსებული სასწავლო ქიმიური ლაბორატორიის შევსება თანამედროვე ტქნოლოგიების ამსახველი ლაბორატორიული ჭურჭელითა და მოწყობილობით;
- მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო, სასწავლო კურსს "საწარმოო პრაქტიკა" გაეზარდოს მინიჭებული კრედიტები, იმის გათვალისწინებით, რომ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული "ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების" კომპეტენციაზე გასვლა ხდება ძირითადად აღნიშნული სასწავლო კურსის საფუძველზე.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს შემუშავებული რეკომენდაციებისათვის და განაცხადა, რომ სრულებით მოხდებოდა მათი გათვალისწინება.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია დაინტერესდა, აღნიშნულ საგანამანთლებლო პროგრამას სხვა დაწესებულებებიც თუ ახორციელებენ და ჩაატარა თუ არა დაწესებულებამ რაიმე სახის წინასწარი კვლევა პროგრამაზე მოთხოვნის შესამოწმებლად. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ვეტერინარიის საბაკალავრო პროგრამას მხოლოდ მათი დაწესებულება და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ახორციელებს, რომლსაც სტუდენტთა ძალიან მცირერიცხვოვანი გამოშვება ჰყავს და შესაბამისად, მათი სტუდენტების დასაქმების შანსი ერთი ორად იზრდებოდა, აღნიშნულ სპეციალისტებზე დიდი მოთხოვნის გამო.

8. შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტების გადამუშავების ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტების გადამუშავების ტექნოლოგია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0104
კრედიტების რაოდენობა	240

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ჯგუფის თავმჯდომარემ, მურად გარუჩავამ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტების გადამუშავების ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ვეტერინარიის საბაკალავრო პროგრამის თანმდევი საგანმანათლებლო პროგრამა იყო.

მისი თქმით, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამაც დადებითად შეფასდა, თუმცა დაწესებულების მიმართ, პროგრამის შემდგომი სრულყოფის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში დაემატოს სასწავლო კურსი "დარგის ზოგადი ტექნოლოგია" შესაბამისი კრედიტებით. იმის გათვალისწინებით, რომ იგი შეიძლება ჩაითვალოს პრერეკვიზიტად თითქმის ყველა იმ სასწავლო კურსებისა, რომლებიც გაწერილია სასწავლო გეგმით და ამავე დროს იგი სწავლის შედეგად სტუდენებს ყველაზე უფრო განუვითარებს დარგის ღირებულების კომპეტენციას;
- სასურველია სასწავლო გეგმას დაემატოს სასწავლო კურსი "საინჟინრო გრაფიკა" ან "კომპიუტერული გრაფიკა" შესაბამისი კრედიტებით. იმის გათვალისწინებით, რომ ამ კურსის შესწავლის გარეშე, შესაძლებელია ცოდნაზე ვერ გავიდეთ სასწავლო გეგმაში გაწერილი ისეთი სასწავლო კურსებით, როგორიცაა: კვების წარმოების ობიექტების დაპროექტების საფუძვლები, ტექნიკური მოწყობილობები;
- სასურველია მოხდეს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება შესაბამისი პროფილის უცხოური ლიტერატურით;
- მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო, უნივერსიტეტში არსებული სასწავლო ქიმიური ლაბორატორიის შევსება თანამედროვე ტქნოლოგიების ამსახველი ლაბორატორიული ჭურჭელითა და მოწყობილობით;
- ბევრ საგანში შეფასების სისტემა საჭიროებს დახვეწას, კერძოდ, სამუშაო ჯგუფში მუშაობა შედგება სხვადასხვა კომპონენტებისაგან, რომლებიც ფასდება: მაგ.: დავალების შესრულებით - 10 ქულა; დისკუსიაში მონაწილეობით - 5 ქულა, ტესტებით - 5 ქულა და საბოლოო ქულა აიღება თითოეული საკონტაქტო კვირის შეფასების ჯამის საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით; ჯამში 20 ქულა, თუმცა ცალკეულ კვირების მიხედვით მხოლოდ ზოგიერთი კომპონენტია შესასრულებელი და სტუდენტმა ყველა კვირას მაქსიმლაური ქულაც რომ მიიღოს, მაინც არ გამოვა ჯამში საშუალო არითმეტიკული 20 ქულა. ასევე, პრეზენტაციის შეფასებისას სასურველია მიეთითოს ზღვარი 0-1 და არა უბრალოდ 1 ქულა, ან დაემატოს შეფასება 0, რაც პრეზენტაციის არ წარმოდგენის ან კრიტერიუმის არ შესრულების შემთხვევაში ლექტორს ნულოვანი შეფსების დაწერის საშუალებას მისცემს.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

ექსპერტთა მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებთან დაკავშირეებით, საბჭოს წინაშე საკუთარი მოსაზრება წარადგინა დაწესებულების წარმომადგენელმა. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შემუშავებული რეკომენდაციებისათვის და აღნიშნა, რომ რეკომენდაციების ძირითად ნაწილს იზიარებდნენ. რამოდენიმე რეკომენდაციის გათვალისწინება არ მოხდა, კერძოდ პროგრამულ ნაწილთან მიმართებით. დაწესებულებამ მიზანშეწონლად არ მიიჩნია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმას დაემატებოდა რეკომენდაციებში შემოთავაზებული სასწავლო კურსები.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია დაინტერესდა, თუ რამდენი სტუდენტის მიღებას ფიქრობდა დაწესებულება აღნიშნულ პროგრამაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა, რომ სტუდენტების მიღებას 2 ჯგუფად აპირებენ.

გიორგი კამკამიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და ურჩია მათ ლუგარის ლაბორატორიაც აეთვისებინათ, რომლის რესურსი ბოლომდე ჯერ კიდევ გამოუყენებელი იუო.

9. **შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება-	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური-	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია -	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
სწავლების ენა-	ქართული
კვალიფიკაციის კოდი-	02
კრედიტების რაოდენობა-	240

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ჯგუფის წევრმა, მაია გონაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულების მიმართ შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, სასწავლო გეგმას დაემატოს ერთი გრაფა, სადაც მითითებული იქნება ამა თუ იმ საგნის წინაპირობა, რაც უფრო გაუადვილებდა სტუდენტებს სასწავლო პროცესის დაგეგმვას. ასევე სასურველია ზოგიერთ საგანს წინაპირობები მიეთითოს ის საბოლოო საგანი, რომელიც უშუალოდ მის წინაპირობას წარმოადგენს და არა 3-4 საგნის ჩამონათვალი, რომლებიც ისედაც არიან ერთმანეთის წინაპირობები (მაგ.: საერთაშორისო მენეჯმენტის წინაპირობაში წერია შესავალი ბიზნესში, მენეჯმენტის საფუძვლები, სტრატეგიული მენეჯმენტის პრინციპები, მარკეტინგის საფუძვლები, მაშინ, როცა მენეჯმენტის პრინციპები ისედაც არის სტრატეგიული მენეჯმენტის წინაპირობა და ა.შ, საგანი: რისკ-მენეჯმენტი და მისი წინაპირობები- შესავალი ბიზნესში, მაკროეკონომიკის პრინციპები, მენეჯმენტის საფუძვლები, კალკულუსი, ფინანსური მენეჯმენტი, ანტიკრიზისული მენეჯმენტი მითითებულია - მენეჯმენტის საფუძვლები; მიკრო დ მაკრო ეკონომიკის პრინციპები, როცა მიკრო ისედაც არის მაკროს წინაპირობად მითითებული და სხვა), ხოლო ზოგიერთ საგანს არ ჰქონდეს წინაპირობა, რომელიც არ წარმოადგენს მისთვის აუცილებელს და უფრო მოქნილს გახდის პროგრამას;
- სასურველია დაზუსტდეს ზოგიერთი საგნის დასახელება (მაგ.: პროგრამაში დასახელებულ მმართველობით ბუღალტერიას უმჯობესი იქნებოდა მმართველობითი აღირცხვა ეწოდოს, *Managerial Accounting*), და ზოგიერთის სტატუსი (მაგ.: სასწავლო პროგრამაში სავალდებულო პრეკალკულუსი იყოს არჩევითი სტუდენტის მათემატიკური ცოდნის დონიდან გამომდინარე);

- რეკომენდირებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში გადამოწმდეს თემების და მასალების თანმიმდევრობა, ზოგიერთი საგნის თემატიკის დახვეწა და უფრო დეტალური აღწერა, რომ არ მოხდეს თემების მიხედვით საკითხების განმეორება. (მაგ. . ფინანსების საფუძვლებში პირველი თემა და ფინანსური მენეჯმენტის პირველი თემა ერთიდაიგივეა; მენეჯმენტის საფუძვლების, ადამიანური რესურსების მართვა , ორგანიზაციული ქცევის საგნებში გადწყვეტილების მიღება, კომუნიკაცია , მოტივაცია და ა.შ. მსგავსია);
- რეკომენდირებულია არ მოხდეს ერთიდაიმავე ლიტერატურის მითითება სხვადასხვა საგანში ან ასეთ შემთხვევაში დაზუსტდეს ცალკეული თავები. (მაგ. ფინანსების საფუძვლებში და ფინანსურ მენეჯმენტში ზ.ღუდუშაურის ფინანსური მენეჯმენტი, ორგანიზაციულ ქცევაში, მენეჯმენტის საფუძვლებში, ადამიანური რესურსების მართვაში ნ. პაიჭაძის ადამიანური რესურსის მენეჯმენტი, ორგანიზაციის თეორიასა და ორგანიზაციულ ქცევაში-ბაკაშვილი ნ., მესხიშვილი დ., ქადაგიშვილი ლ., -ორგანიზაციის თეორია და სხვა);
- აღსანიშნავია, რომ სტუდენტს უწევს არჩევანის გაკეთება ინგლისური 4-ის შესწავლისას ბიზნეს ინგლისურსა ან ტურიზმის ინგლისურს შორის. რადგან პროგრამა არის ბიზნესის ადმინისტრირება, სასურველია ინგლისური 4 ბიზნეს ინგლისური იყოს სავალდებულო მოდულში, ხოლო ტურიზმის ინგლისური იყოს ტურიზმის არჩევით მოდულში, რათა შესაბამისობაში იყოს მისანიჭებელი კვალიფიკაცია;
- ბევრ საგანში შეფასების სისტემა საჭიროებს დახვეწას, კერძოდ, სამუშაო ჯგუფში მუშაობა შედგება სხვადასხვა კომპონენტებისაგან, რატომღაც შეფასებულია არა თითოეული კომპონენტი, არამედ საბოლოო 20 ქულა (მაგ. მენეჯმენტის საფუძვლები, მიკრო და მაკრო ეკონომიკის პრინციპები და სხვა), რომელიც კომპონენტების ჯამით უნდა გამოვიდეს. ბევრ საგანში პირიქით, ჩამოთვლილია კომპონენტები, რომლებიც ფასდება: მაგ.: დავალების შესრულებით - 5 ქულა; კონკრეტული სიტუაციის გარჩევით - 5 ქულა; დისკუსიაში მონაწილეობით - 3 ქულა, ტესტით - 7 ქულა +პროექტის პრეზენტაცია- 10ქულა და საბოლოო ქულა აიღება თითოეული საკონტაქტო კვირის შეფასების ჯამის საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით; ჯამში 20 ქულა, თუმცა ცალკეული კვირების მიხევით მხოლოდ ზოგიერთი კომპონენტია შესასრულებელი და სტუდენტმა ყველა კვირას მაქსიმლაური ქულაც რომ მიიღოს, მაინც არ გამოვა ჯამში საშუალო არითმეტიკული 20 ქულა. ასევე პრეზენტაციის შეფასებისას სასურველია მიეთითოს ზღვარი 0-1 და არა უბრალოდ 1 ქულა, ან დაემატოს შეფასება 0, რაც პრეზენტაციის არ წარმოდგენის ან კრიტერიუმის არ შესრულების შემთხვევაში ლექტორს ნულოვანი შეფსების დაწერის საშუალებას მისცემს;
- რეკომენდირებულია, ცალკეულ სასწავლო კურსის სილაბუსის ძირითადი და/ან დამხმარე ლიტარატურის ჩამონათვალი შეივსოს მსოფლიოში აღიარებული და ქართულ ენაზე თარგმნილი სახელმძღვანელოებით; (მაგ. ორგანიზაციული ქცევაში უმჯობესია მიეთითოს სტივენ პ. რობინსი, ტიმოთი ა.ჯაჯის-ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები, ფინანსურ მენეჯმენტში-ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები / ჯეიმს ს. ვან ჰორნი, ჯონ მ. ვახოვიჩი, უმცრ., მენეჯმენტის საფუძვლებში -გარეთი, თანამედროვე მენეჯმენტი , მმართველობითი აღრიცხვა-ატკინსონი და ა.შ.);
- სასურველია დაწესებულებამ გააძლიეროს საქმიანობა ინტერნაციონალიზიაციის მიმართულებით და დამსაქმებლებთან თანამშრომლობა და უზრუნველყოს მათი ჩართვა პროგრამის განვითარებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

ექსპერტთა მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებთან დაკავშირეებით, საბჭოს წინაშე საკუთარი მოსაზრება წარადგინა დაწესებულების წარმომადგენელმა. მან განაცხადა, რომ აკრედიტაციის

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული 8 რეკომენდაციიდან, ყველა გაიზიარა დაწესებულებამ და განახორციელა შენიშვნების შესაბამისი ცვლილებები, რომლის დამადასტურებელი მასალაც საბჭოს სხდომაზე აქვთ წარმოდგენილი.

ექსპერტმა, მაია გონაშვილმა განმარტა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს რეალური საშუალება, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სამომავლო დახვეწისა და განვითარებისა.

საბჭოს წევრი, მაგდა მაღრაძე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება ამჟამად ახორციელებდა 2 საგანამანთლებლო პროგრამას. იმის გამო, რომ ცოტა ხნის წინ მიეიჭა დაწესებულებას ავტორიზაცია, ჯერ სტუდენტები არ ირიცხებიან.

საბჭოს წევრი, თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ხარიხის უზრუნველყოფის სამსახური, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს ასეთი სამსახური.

17:45 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება. სხდომა განახლდა 18:15 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის მეორე ნახევარში მიღებული გადაწყვეტილებები:

- შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ვეტერინარიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 4; წინააღმდეგი - 2);
- შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტების გადამუშავების ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 4; წინააღმდეგი - 2);
- შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას არ მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 0; წინააღმდეგი - 6).

საბჭოს თავმჯდომარემ, გიორგი კამკამიძემ მიმართა შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და განუმარტა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციაზე უარის თქმის საფუძველი გახდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეჯომენდაციები, რაც საბჭომ მნიშვნელოვნად და გასათვალისწინებლად მიიჩნია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 18:20 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა

თავმჯდომარე
გიორგი კამკამიძე

მდივანი
ნინო დავლაშერიძე